ახალციხის მუნიციპალიტეტის
სატენდერო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №10

ქ.ახალციხე 22 აგვისტო 2011 წ
17:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

მალხაზი გიქოშვილი -	საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
გელა დემეტრაძე -	საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
გიორგი გიქოშვილი -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
მაკა სამსონიძე -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
თენგიზ ზედგინიძე-	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი
მაწანა ბალიაშვილი -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი –სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;
გაგა ივანიძე -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
გიორგი მიქელაძე –	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;
ემზარ მღებრიშვილი-	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარები სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში
დავით ჩაჩანიძე -	საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

დღის წესრიგი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ: ქ. ახალციხეში მ. ახალციხელის ქ. №2 მდებარე მომავალი ადმინისტრაციული შენობის (ყოფილი ოფიცერთა სახლი), ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძო დაცვის სამსახურის ბუნებრივი აირის ერთიან ქსელში ჩართვის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2011 წლის 11 აგვისტოს 18:14 საათზე გამოცხადებულ №134 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მ. გიქოშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაკა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. დემეტრაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ქ. ახალციხეში მ. ახალციხელის ქ. №2 მდებარე მომავალი ადმინისტრაციული შენობის (ყოფილი ოფიცერთა სახლი), ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძო დაცვის სამსახურის ბუნებრივი აირის ერთიან ქსელში ჩართვის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის

მიზნით, 2011 წლის 11 აგვისტოს 18:14 საათზე გამოცხადებულ №134 კონკურსში ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება არც ერთ კონკურსანტს არ წარმოუდგენია.

კომისიამ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. კონკურსი №134 „ქ. ახალციხეში შ. ახალციხელის ქ. №2 მდებარე მომავალი ადმინისტრაციული შენობის (ყოფილი ოფიცერთა სახლი), ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის ბუნებრივი აირის ერთიან ქსელში ჩართვის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე" ჩაითვალოს არშემდგარად და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით განმეორებით გამოცხადდეს კონკურსი.
2. **საკონკურსო** კომისიის წევრმა მანანა ბალიაშვილმა უზრუნველყოს 2011 წლის 22 აგვისტოს კონკურსის განცხადების მომზადება და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით კონკურსის განმეორებით გამოცხადება **"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3** მიხედვით „ქ. ახალციხეში შ. ახალციხელის ქ. №2 მდებარე მომავალი ადმინისტრაციული შენობის (ყოფილი ოფიცერთა სახლი), ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის ბუნებრივი აირის ერთიან ქსელში ჩართვის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	მ. გიქოშვილი
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	გ. დემეტრაძე
საკონკურსო კომისის მდივანი	მ. სამსონიძე
საკონკურსო კომისიის წევრები	გ. გიქოშვილი
	გ. ივანიძე
	თ. ზედგინიძე
	ე. მღებრიშვილი
	გ. მიქელაძე
	მ. ბალიაშვილი
	დ. ჩაჩანიძე